ქ. თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

AR 1241690

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები



№ 1119

თარიღი 01.04.2011

თბილისი 2011 წ.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თერთმეტი წლის ოცდაცხრა მარტს მე, ჟენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ. წამებულის №42, მომმართა **ელი (ელიაჰუ) მიხაელმა,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **გიორგი თევდორაშვილს.** მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ელი (ელიაჰუ) მიხაელმა (დაბადებული 26.08.1965წ. სსრკ, პასპორტი №10926221, პირადი №0-1566898-1, გაცემული 19.03.2008წ. მცხოვრები: ისრაელი, ქ. რიშონ-ლეციონი, ჰაზმირას 12, ბინა 8)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ“, 29.7. და 31[1] მუხლისა.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის ოცდაცხრა მარტს, ელი (ელიაჰუ) მიხაელმა შემდგომში წოდებულმა, როგორც „მიმნდობი“, გიორგი თევდორაშვილს (დაბადებული 17.02.1964წ. თბილისი, მოქალაქის პირადობის მოწმობა №ბ0002650, პ/№01004000097, გაც. თბილისის საბურთალოს რ-ნის შს განყოფილების მიერ 22. XII. 1994წ. მცხოვრები: თბილისი, გაგარინის 3.), შემდგომში წოდებულს, როგორც „მინდობილი პირი“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1 „მინდობილი პირი” უფლებამოსილია, რომ მართოს მისი კუთვნილი უძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის სარეგისტრაციო მონაცემებია: ზონა: თბილისი 01; სექტორი: ვაკე 14, კვარტალი: 03; ნაკვეთი: 040/262; ფართობი: 8996.00 კვ.მ; ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.03.040.232; მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგის №34 და უძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის სარეგისტრაციო მონაცემებია: ზონა: თბილისი 01; სექტორი: ვაკე 14, კვარტალი: 03; ნაკვეთი: 040/261; ფართობი: 4856.00 კვ.მ; ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.03.040.232; მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგის №34, გააერთიანოს დაყოს უძრავი ქონება და დაარეგისტრიროს ნებისმიერი იურიდიული ქმედება, ცვლილება, ხელშეკრულება, აღმოფხვრას ნებისმიერი ხარვეზი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, აიღოს სათანადო ამონაწერები და საკადასტრო გეგმები; მიჰყიდოს ან გაუცვალოს მიწის ნაკვეთის ნაწილი საქართველოს მართმადიდებლურ საპატრიარქოს; ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას ჩემი სახელით და ჩემს მაგივრად და დაარეგისტრიროს აღნიშნული საჯარო რეესტრში, განაახლოს, მოამზადოს, მიიღოს, გამოითხოვოს ნებისმიერი სამშენებლო ნებართვა და მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის ა.გ.დ. და სხვა) სათანადო ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, მოამზადოს ნებისმიერი საამზომლო დოკუმენტაცია დაკავშირებული უძრავ ქონებასთან, მათ შორის: ნებისმიერი ნახაზი, გეგმა, ორთო-ფოტო და ტოპო ნახაზები და ა.შ. განახორციელოს მართვის სერვისი, კერძოდ: წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, ნებისმიერ საქმესთან (გასხვისებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩათვლით) მიმართებით, რაც უკავშირდება უძრავ ქონებას, განახორციელოს ნებისმიერი სხვა იურიდიული ქმედება, რაც არაა მითითებული წინამდებარე მინდობილობის ტექსტში, მაგრამ მოცემულ მომენტში აუცილებლად ჩაითვლება მიმნდობილ პირის მიერ, აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილო პირი უფლებამოსილია **ელი (ელიაჰუ) მიხაელი წარმოადგინოს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მათ შორის: საჯარო რეესტრთან, სანოტარო ბიუროებთან, ქ. თბილისის მერიასთან და სხვა,** რისთვისაც მოაწეროს ხელი მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

2. მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის** (29.03.2012წ.) ვადით.

3. წინამდებარე მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ჟენია ტარტარაშვილი ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს, ჟ. ტარტარაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს”.

„მიმნდობი”: ელი მიხაელი

ნოტარიუსი ჟენია ტარტარაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57685777233111

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110318112

რეგისტრაციის თარიღი

29.03.2011 წ

ნოტარიუსი: ჟენია ტარტარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №42
ტელეფონი: 77-16-00

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.03.040.276*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი*882011167005*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *4000* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 13.04.11



მასშტაბი1:1,000

0 3 6 12 18 მეტრი

შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ვალდებულება

მშენებარე ნაგებობა

ხაზობრივი ნაგებობა

მიწისქვეშა ნაგებობა

UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა მოიცავს:

ვფურცელს _ ობიექტის დასახელებას და მისამართს;
იწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს;
ნმარტებით ბარათს;
ენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს:
ბ.ა) მიწის ნაკვეთის ფართობს;
.ბ) გამოყენებული კ1-ის სიდიდეს და განაშენიანების ფართობს;
ბ.გ) გამოყენებული კ2-ის სიდიდეს და განაშენიანების სიმ-ჭიდროვის ფართობს (III დაIV კლასის შენობებისათვის თითოეული სართულის განაშენიანების ფართობის ჩვენებით)
.დ) გამოყენებული კ3-ის სიდიდეს და გამწვანების ფართობს;
დ.ე) შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებაში;
.ვ) შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმაღლეს;
ბ.ზ) შენობა-ნაგებობის ფართობს, მათ შორის არსებობის შემთხვევაში: საცხოვრებელი სახლის ფართობს; ბინის ფართობ(ებ)ს; საოფისე ფართობს; სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართობ(ებ)ს; საწარმოო ფართობს; სასაწყობო ფართობს; კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობებს; საგაზაფხულო (აივნების, ტერასების, ვერანდებისა და ლოჯიების) ფართობებს;
ტუაციურ გეგმას სათანადო დეტალიზაციით;
იწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმას მისი საკადასტრო საზღვრებისა და არსებული ინჟინრო-კომუნალური ქსელების ჩვენებით;
იწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ მიწის ნაკვეთის გეგმას (მაგ: სადაც ჩვენებია მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები, არსებული საინჟინრო-კომუნალური ელები, მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსება, მისასვლელი გზების, ავტოსადგომების, ღობეების, გამწვანებისა და სხვა ნაწილების ასახვა); მასშტაბი 1:500;
ენობის ყველა სართულის გეგმებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკის ედაპირების ნიშნულების ჩვენებით და შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს აბსოლუტურ ულოვან ნიშნულთან მიმართებაში); 1:50; 1:100 ან 1:200 მასშტაბით;
ენობის სახურავის გეგმას (საკადასტრო საზღვრის პროექციის ჩვენებით) 1:50; 1:100 ან 1:200 მასშტაბით
ნობის მახასიათებელ ჭრილებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკის ზედაპირის ნიშნულების, იატაკის მოპირკეთების ზედაპირის ნიშნულების ჩვენებით და შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებაში); 1:50; 1:100 1:200 მასშტაბით;
) შენობის ყველა ფასადის ნახაზს (1:50; 1:100 ან 1:200 მასშტაბით); მისი მოსაპირკეთებელი სალის, ფასადზე არსებული არქიტექტურული დეტალებისა (1:1; 1:2; 1:5; 1:10 ან 1:20 ასშტაბით) და ფასადის ფერების განსაზღვრით;
საჭიროების შემთხვევაში, ფასადების (საანგარიშო ზედაპირების) ნახაზებს, მომიჯნავე მიწის კვეთებზე არსებული შენობის ფასადების (საანგარიშო ზედაპირების) სქემატური ნახაზების ჩვენებით (მაგ: ქუჩის განშლა);
საჭიროების შემთხვევაში, ფასადების (საანგარიშო ზედაპირების) განშლების სქემატურ ხაზებს შენობისა და გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის ჩვენებით;
საჭიროების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმას.
ნონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში გარემოზე ზემოქმედების შეფასება.
ციფ-რულ ვიზუალიზაციასა და პროექტის ელექტრონულ ვერსიას.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები	განმცხადებელი: გიორგი თევდორიაშვილი საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34 (ნაკ. №040/276)

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის საფუძველი

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემულია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების და "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად.

- განაცხადის ნომერი: № 12/88869-13 (13.07.11წ.)
- მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი: (საკადასტრო რუკა, საკადასტრო გეგმა) — № 01.14.03.040.276
- მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34 (ნაკ. №040/276)
- ფუნქცია: საცხოვრებელი,
- სხვა დამატებითი დოკუმენტი:
  - მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი №ო-622 (18.07.11)
  - მინდობილობა

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა

მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ფუნქციური ზონა:

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

("ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" - მუხლი 19)

- მიწის ნაკვეთის ფართობი: 4000 მ²
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-1 — 0.5
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ-2 — 2.5
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ-3 — 0.1
- მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები

  განაშენიანების რეგულირების ხაზი:

შენიშვნა: 1) საპროექტო ობიექტის სართულიანობა განისაზღვროს 10 სართულით,

2) შენობა-ნაგებობა განთავსდეს მონიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე (იხ. დანართი საკადასტრო გეგმა)

3) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად: 2008 წლის 30 სექტემბერს გაცემული №887 ქალაქთმშენებლობითი პირობები ძალადაკარგულად ჩაითვალოს, წინამდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალაში შესვლისთანავე.

ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების
პირობების მომზადების განყოფილების უფროსი /ნ. ვენცაძე/

შემსრულებელი:	ნ. ზურაბიშვილი	2011 წლის 18.07.2011	გვ. №2

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები	განმცხადებელი: გიორგი თევდორიაშვილი საპროექტო ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, გაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი №34 (ნაკ. №040/276)

მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (უძრავი ობიექტის) სამშენებლო განვითარებაზე

1	შენობა-ნაგებობების განთავსება მიწის ნაკვეთზე, მოშენების ხაზი და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. მიმდებარე შენობები	- შენობა-ნაგებობა განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრების ფარგლებში "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით"-მუხლი №34-ის მიხედვით.
2	შენობის I სართულის და მიწისქვეშა სივრცის გამოყენება	- ქვედა სართულები შესაძლებელია დაიტვირთოს საზოგადოებრივი ფუნქციით; - ავტოფარეხები მოეწყოს საცხოვრებელი ბინების რაოდენობის შესაბამისად; - საპროექტო შენობის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად.
3	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი წყობის შეცვლა	
4	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება მშენებლობა	- დაცულ იქნას მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები; • **პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს:** - საინფორმაციო აბრის (ბანერის) ფოტოსურათები (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან); - ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა; - ტერიტორიის ტოპო-გეგმა (მ. 1:500) საინჟინრო კომუნიკაციების დატანით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. - ტერიტორიაზე საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს სამშენებლო ნორმები გაწერილ მიმართებაში, გადატანის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან; - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების წინამდებარე პირობები და მის საფუძველზე დამუშავებული არქიტექტურული პროექტი. **- მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს:** - ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-დასკვნა; - გეოლოგიური პირობების და არქიტექტურული პროექტის შესაბამისი კონსტრუქციული სქემა; - მშენებლობის ორგანიზების პროექტი (სამშენებლო ეტაპებად გაწერილი, მშენებლობის გონივრული ვადის ჩვენებით); - მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ამონაწერი (გადახდილი საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით, 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით); - მესაკუთრის თანხმობა
5	შიდა და გარე კეთილმოყწყობა, მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა, გარემოს დაცვითი და სხვა პირობები	- ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს; არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს: - ფასადების მოსაპირკეთებელი მასალისა და ფერის. გადახურვის მასალისა და ფერის მითითება; - ფანჯრების,ფრამუგების,კარის სპეციფიკაცია - მოეწყოს უნარშეზღუდულთა ეტლების გადაადგილებისათვის პანდუსი. - გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები.

პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება

პროექტის შეთანხმებისათვის დამკვეთი-მენაშენე ვალდებულია ტექდოკუმენტაცია წარმოადგინოს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში (მისამართი: შარტავას ქ. №7)

მშენებლობის ნებართვა გაიცეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად.

მშენებლობის გაცემის წინამდებარე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

ქალაქმშენებლობითი პირობები შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: შარტავას ქ. №7)

შემსრულებელი:	ნ. ზურაბიშვილი	2011 წლის 28 ივლისი	გვ. №3

2009 წლის 17 აპრილიდან კოეფიციენტების ანგარიში ხდება
ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით

ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად

მუხლი 15. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 განსაზღვრავს, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობების განთავსება.

2. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 არის შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობას არ გააჩნია მიწისპირა სართული მაშინ კ-1 კოეფიციენტი განისაზღვრება პირველი მიწისზედა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის შეფარდებით მიწის ნაკვეთის ფართობთან.

4. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტით განსაზღვრულ საანგარიშო ფართობში არ შედის:

ა) შენობა-ნაგებობების მიწისქვეშა სართულ(ებ)ი;

ბ) დროებითი სამშენებლო ობიექტები

გ) შენობათა გამჭვირვალე წყალგაუმტარი მასალით გადახურული შიდა ეზოები, „ზამთრის ბაღები“ და „პასაჟები“. ამავე დროს, ამ ნაწილებთან ერთად შენობები არ შეიძლება იკავებდნენ შესაბამისი მიწის ნაკვეთების 80%-ზე მეტს.

დ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთსართულიანი შენობა-ნაგებობ(ებ)ი, მათ შორის სათბურები.

5. რთული რელიეფის მიწის ნაკვეთებზე ტერასული საცხოვრებელი შენობებისა და მათი კომპლექსების პროექტირება-მშენებლობის შემთხვევაში, არქიტექტურულ გეგმარებითი სპეციფიკიდან გამომდინარე, განაშენიანების კოეფიციენტის კ-1 გამოიყენება კ-1=0,7. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების კ-3=0,1 კოეფიციენტის გამოყენების პირობით.

6. კ-1 კოეფიციენტი მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

მუხლი 16. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი -კ-2

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განსაზღვრავს, ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობს.

2. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 არის შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი.

3. შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის, აგრეთვე სრულ სართულთან ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების

ფართობი, იანგარიშება შესაბამისი სართულის გარე კონტურის ზომებით, აივნებისა და ტერასების ფართობების გამოკლებით.

4.კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი გამოითვლება ქვემოთ განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის, მათ შორის ერკერის გარე კონტურში მოქცეული ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

ბ) არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის;

გ) სხვენში, რომელშიც მოწყობილია ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს სრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის ასეთი სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით;

დ) სხვენში, რომელშიც მოწყობილია ისეთი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს არასრულ სართულს, მაშინ ასეთი მანსარდა – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის;

ე) ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის (ზონებში სზ-1 და სზ-2) მანსარდის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი არ შედის კ-2-ის საანგარიშო ფართობში;

ვ) კიბის უჯრედების იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

ზ) შენობისა და ქუჩის ზედაპირის გადაკვეთის დონე(ებ)ზე, შენობაში ავტომობილის გასასვლელად მოწყობილი გვირაბის გზის ზედაპირის საერთო ფართობი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის;

თ) აივნის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის საერთო ფართობი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის;

ი) ლოჯიის და ვერანდის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი - კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/2-ით;

კ) სზ-1-ში კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დამხმარე შენობა ნაგებობ(ებ)ის, მათ შორის სათბურების გარე კონტურში მოქცეული ზედაპირის ფართობი;

ლ) მიწისზედა ავტოფარეხი მიუხედავად მისი სიმაღლისა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის.

5. კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

მუხლი 17. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3

1. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტით განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული, ან გადაფარული რაიმე წყალგაუმტარი (სამშენებლო თუ სხვა) მასალით, რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ნაგებობა, ან სათავსი და რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის.

2. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი არის მიწის ნაკვეთის გამწვანებული ზედაპირის, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მინიმალური მაჩვენებელი.

3. კ-3 კოეფიციენტის დამრგვალება შესაძლებელია მეათედი სიზუსტით.

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ.
თბილისის არქიტექტურის სამსახური

ოქმი № 3 – 622 18.07.11

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვ. №040/227-ზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გაცემულ №887 30.09.08 ქალაქთმშენებლობით პირობებში ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით ცვლილების განხორციელების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა.

12:00 სთ. 18.07.11 წ.

ქ. თბილისი

სხდომის თავმჯდომარე: ნ. გვენცაძე

სხდომის მდივანი: ი. ალექსიძე

იურისტი: ნ. ერაქვია

დაინტერესებული მხარე: გიორგი თევდორაშვილი

მომჩივანი მხარე: ალ.ყაზბეგის გამზ. №34-ის მიმდებარე ტერიტორიის (ე.წ „შანხაის დასახლების“) მაცხოვრებლები;

№12/88869-13 13.07.11 წ. განცხადების საფუძველზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

ზეპირი მოსმენის საგანი: მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელების თაობაზე;

მხარეთა პოზიციები:

<u>სხდომის თავმჯდომარე:</u>

<u>დაინტერესებული მხარე:</u>

הוגש לשם קבלת פטנט בישראל

שם המבקש: מכון ויצמן למדע בע"מ
כתובת: רחובות

מכשיר לקביעת מהירות הרוח

שם הממציא: אהרון קציר

תקציר

מכשיר לקביעת מהירות הרוח, המורכב מגוף בעל צורה אווירודינמית, שבתוכו מותקנים חיישני לחץ, ומערכת עיבוד אלקטרונית המחשבת את מהירות הרוח על פי הפרשי הלחצים הנמדדים.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის
არქიტექტურის სამსახურის უფროსი
არისი ბოჭორიძე

ბ-ნ / ქ-ნ [illegible]

12/88869
07 2011წ

ა. ბოჭორიძე

...თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს
... ბატონ არისი ბოჭორიძეს
...განიზაცია: [illegible]
[illegible]
... 599 583313
...ლ.
...ტა

...ახმა ვარ პასუხი მივიღო ელ. ფოსტით
...ახმა ვარ პასუხი მივიღო ფოსტით
...ტან ხელზე

განცხადება

ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზ. N 34-ში, [illegible]

[illegible]

დანართი: 1) [illegible]

2) [illegible]

განმცხადებლის ხელმოწერა [illegible]

თარიღი 13.07.2011

[illegible]

13 07 12/88869-13

[illegible]

ყურადღება!

სამსახურში თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დედანი (ერთი ეგზემპლარი) მიუხედავად მასზე მიღებული გადაწყვეტილებისა დარჩება სამსახურის არქივში.

თუ არ გაქვთ სურვილი სამსახურში დარჩეს თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დედნები, განაცხადის შემოტანისას წარმოადგინეთ მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული,

სამსახურის ადმინისტრაცია!

☑ გავეცანი ______________
(განმცხადებლის ხელმოწერა)